ხელმძღვანელობამ განიხილა აღნიშნული რისკი და მიაჩნია, რომ ძირითად კლიენტთან თანამშრომლობის შეწყვეტა არ წარმოადგენს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საფრთხეს, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული კლიენტიც ანალოგიურად დამოკიდებულია კომპანიის მიერ გაწეულ მომსახურებაზე და ვერ მოახდენს მის ჩანაცვლებას სხვა კომპანიით, რომელიც შეძლებს ანალოგიურ მასშტაბზე და ეფექტურობით მომსახურებას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კომპანიის საქმიანობა მომგებიანია და გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად.

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ძლიერი ფინანსური მდგომარეობა, კაპიტალის ოდენობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

ხელმძღვანელობამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და კომპანიის მაჩვენებლების გათვალისწინებით დარწმუნებულია მის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

#### ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით.

ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|                                              | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|----------------------------------------------|-------------------|-------------------|
| 1 USD/GEL                                    | 2.7020            | 3.0976            |
| 1 EUR/GEL                                    | 2.8844            | 3.5040            |
| საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი: |                   |                   |
|                                              | 2022              | 2021              |
| 1 USD/GEL                                    | 2.9156            | 3.2612            |
| 1 EUR/GEL                                    | 3.0792            | 3.9079            |

#### შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

#### საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

#### ფინანსური აქტივი

##### პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელმწიფოებრივ ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად.

### 3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გამონაკლისისა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია რეალური ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების გამოსამუშავებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

#### შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახრვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახრვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

#### ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

### 3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

| ვადაგადაცილების დღეები    | მიმდინარე | 31-60 დღე | 61-90 დღე | 91-180 დღე | 181-360 დღე |
|---------------------------|-----------|-----------|-----------|------------|-------------|
| დარეზერვების პროცენტულობა | 1%        | 5%        | 25%       | 50%        | 100%        |

#### ფინანსურ ვალდებულებები

##### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

### 3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### *შემდგომი შეფასება*

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან დერივატიულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება მოხდება ახლით, იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

#### *აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გადაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### *ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა*

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

#### *ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები*

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები თავდაპირველ აღირიცხება მათი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება, როგორც მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, ასევე მასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯების და აქტივის დაშლასთან დაკავშირებული მომავალი ხარჯების დღევანდელი ღირებულებისგან.

შესაბამისი ვალდებულება აღირიცხება რეზერვებში. მომდევნო პერიოდის ხარჯები აღირიცხება აქტივის მიმდინარე ღირებულებაში, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში თუკი მოსალოდნელია მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და მისი საიმედოდ განსაზღვრა. ჩანაცვლებული ნაწილის მიმდინარე ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა რემონტის და შეკეთების ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია მათ ისტორიული ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ხარჯი.

### 3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

#### ცვეთა

მიწა არ იცვითება. ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალებების მიმდინარე ღირებულებებს, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში; ცვეთა გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდით. სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად:

|                                                  | სასარგებლო მომსახურების ვადები |
|--------------------------------------------------|--------------------------------|
| მანქანა დანადგარები                              | 3-15                           |
| ოფისის აღჭურვილობა                               | 2-10                           |
| კომპიუტერული ტექნიკა და პროფესიული მოწყობილობები | 3-5                            |
| სატრანსპორტო საშუალებები                         | 10                             |
| ავეჯი                                            | 2-5                            |
| სხვა აღჭურვილობა                                 | 2                              |

#### მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება მთლიანი შესყიდვის ღირებულებით, დამატებული მარაგების ამჟამინდელ ადგილზე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის საჭირო ყველა სხვა ხარჯი. მაგალითად, ტრანსპორტირების, იმპორტის და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

#### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება აღმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

#### საკონტრაქტო აქტივები

კომპანია აღიარებს სახელმძღვანელო აქტივებს იმ სერვისებზე, რომელთა მიწოდება და გადაცემა არ დასრულებულა საადრიცხო პერიოდის ბოლოს.

#### წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

### 3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

#### *ფული და ფულის ეკვივალენტები*

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ან დეპოზიტზე 3 თვეზე მცირე ვადით.

#### *კაპიტალი*

##### *საწესდებო კაპიტალი*

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) მოხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რაც რეალურად შეტანილი იქნა კომპანიაში მფლობელის მიერ.

##### *ღივიდენდები*

ღივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

#### *პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები*

ხელფასები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

#### **შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

კომპანია შემოსავლებს აღრიცხავს ფასს 15-ის შესაბამისად, რომელიც მოიცავს, მცირე გამონაკლისებით, კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ ყველა ტიპის შემოსავალს. ფასს 15 აქვს 5 ეტაპიანი მოდელი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხად და მოითხოვს, რომ შემოსავალი აღიარდეს იმ თანხით, რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს.

ფასს 15 მოითხოვს სუბიექტებისგან, რომ კლიენტებთან ხელშეკრულებების აღნიშნული მოდელის თითოეულ ეტაპზე გამოიყენონ საკუთარი განსჯა, ყველა დაკავშირებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მოპოვების ზღვრული ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის წესს. ამასთან, სტანდარტი დამატებით მოითხოვს ვრცელ განმარტებით შენიშვნებს.

#### 4. მნიშვნელოვანი საადრიცხო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისათვის.

**ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი:** კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროექტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია კომპანიის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 7-ში.

**ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა:** კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

**მარაგების გაუფასურება:** მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

## 5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომების იდენტიფიცირება 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდების ბალანსების გადახედვა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

### ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| 31 დეკემბერი, 2021   | წინა<br>ანგარიშის<br>მიხედვით | რეკლასიფიკაცია /<br>კორექტირება | კორექტირებული<br>თანხები |
|----------------------|-------------------------------|---------------------------------|--------------------------|
| ძირითადი საშუალებები | 431,992                       | 1,191,808                       | 1,623,800                |
| გაუნაწილებელი მოგება | 6,505,932                     | 1,191,808                       | 7,697,740                |
|                      |                               |                                 |                          |
| 31 დეკემბერი, 2020   | წინა<br>ანგარიშის<br>მიხედვით | რეკლასიფიკაცია /<br>კორექტირება | კორექტირებული<br>თანხები |
| ძირითადი საშუალებები | 704,604                       | 1,078,428                       | 1,783,032                |
| გაუნაწილებელი მოგება | 6,088,096                     | 1,078,428                       | 7,166,524                |

### მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| 31 დეკემბერი, 2021                  | წინა<br>ანგარიშის<br>მიხედვით | რეკლასიფიკაცია /<br>კორექტირება | კორექტირებული<br>თანხები |
|-------------------------------------|-------------------------------|---------------------------------|--------------------------|
| გაწეული მომსახურების თვითღირებულება | (15,920,594)                  | 77,404                          | (15,843,190)             |
| არასაკონტრაქტო შემოსავალი           | 50,059                        | 35,976                          | 86,035                   |

შპს „სერვის ნეტ გრუპი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

## 6. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                    | ავეჯი და<br>ინვენტარი | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა<br>ძირითადი<br>საშუალებები | კომპიუტერული<br>ტექნიკა | სულ                |
|------------------------------------|-----------------------|-------------------------|-----------------------|-----------------------------|---------------------------------|-------------------------|--------------------|
| <i>ისტორიული ღირებულება</i>        |                       |                         |                       |                             |                                 |                         |                    |
| <b>31 დეკემბერი, 2020</b>          | <b>54,802</b>         | <b>2,746,008</b>        | <b>51,565</b>         | <b>161,740</b>              | <b>2,316</b>                    | <b>332,554</b>          | <b>3,348,985</b>   |
| შეძენა                             | 1,881                 | 30,719                  | 1,858                 | 121,102                     | -                               | 34,264                  | 189,824            |
| გაყიდვა                            | (55)                  | (41,372)                | (1,486)               | (61,270)                    | (18)                            | (8,234)                 | (112,435)          |
| ჩამოწერა                           | (537)                 | (17,479)                | -                     | (4,499)                     | (25)                            | -                       | (22,540)           |
| <b>31 დეკემბერი, 2021</b>          | <b>56,091</b>         | <b>2,717,876</b>        | <b>51,937</b>         | <b>217,073</b>              | <b>2,273</b>                    | <b>358,584</b>          | <b>3,403,834</b>   |
| შეძენა                             | 750                   | 160,439                 | 8,281                 | -                           | -                               | 39,175                  | 208,645            |
| გაყიდვა                            | -                     | (57,577)                | (710)                 | -                           | -                               | (8,242)                 | (66,529)           |
| ჩამოწერა                           | (163)                 | (142)                   | (472)                 | -                           | (91)                            | (81)                    | (949)              |
| <b>31 დეკემბერი, 2022</b>          | <b>56,678</b>         | <b>2,820,596</b>        | <b>59,036</b>         | <b>217,073</b>              | <b>2,182</b>                    | <b>389,436</b>          | <b>3,545,001</b>   |
| <i>დაგროვილი ცვთა</i>              |                       |                         |                       |                             |                                 |                         |                    |
| <b>31 დეკემბერი, 2020</b>          | <b>(44,823)</b>       | <b>(1,163,761)</b>      | <b>(39,094)</b>       | <b>(80,772)</b>             | <b>(2,316)</b>                  | <b>(235,187)</b>        | <b>(1,565,953)</b> |
| წლის ცვთა                          | (6,028)               | (232,957)               | (7,900)               | (15,463)                    | -                               | (56,554)                | (318,902)          |
| გაყიდვა                            | 55                    | 39,979                  | 1,486                 | 33,926                      | 18                              | 8,006                   | 83,470             |
| ჩამოწერა                           | 537                   | 16,290                  | -                     | 4,499                       | 25                              | -                       | 21,351             |
| <b>31 დეკემბერი, 2021</b>          | <b>(50,259)</b>       | <b>(1,340,449)</b>      | <b>(45,508)</b>       | <b>(57,810)</b>             | <b>(2,273)</b>                  | <b>(283,735)</b>        | <b>(1,780,034)</b> |
| წლის ცვთა                          | (3,363)               | (203,821)               | (4,854)               | (21,707)                    | -                               | (44,994)                | (278,739)          |
| გაყიდვა                            | -                     | 55,056                  | 608                   | -                           | -                               | 6,801                   | 62,465             |
| ჩამოწერა                           | 163                   | 142                     | 472                   | -                           | 91                              | 81                      | 949                |
| <b>31 დეკემბერი, 2022</b>          | <b>(53,459)</b>       | <b>(1,489,072)</b>      | <b>(49,282)</b>       | <b>(79,517)</b>             | <b>(2,182)</b>                  | <b>(321,847)</b>        | <b>(1,995,359)</b> |
| <i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i> |                       |                         |                       |                             |                                 |                         |                    |
| <b>31 დეკემბერი, 2021</b>          | <b>5,832</b>          | <b>1,377,427</b>        | <b>6,429</b>          | <b>159,263</b>              | <b>-</b>                        | <b>74,849</b>           | <b>1,623,800</b>   |
| <b>31 დეკემბერი, 2022</b>          | <b>3,219</b>          | <b>1,331,524</b>        | <b>9,754</b>          | <b>137,556</b>              | <b>-</b>                        | <b>67,589</b>           | <b>1,549,642</b>   |

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს შესაბამისად 1,000,447 და 865,120 ლარს.

ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული მესამე პირის სასარგებლოდ.

## 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                                          | 31 დეკემბერი, 2022 | 31 დეკემბერი, 2021 |
|------------------------------------------|--------------------|--------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 6,494,202          | 6,457,681          |
| გადახდილი ავანსები                       | 63,815             | 73,147             |
| სხვა მოთხოვნები                          | -                  | 6,227              |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>    | <b>6,558,017</b>   | <b>6,537,055</b>   |
| გაუფასურების რეზერვი                     | (76,174)           | (73,577)           |
| <b>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო</b>  | <b>6,481,843</b>   | <b>6,463,478</b>   |

საექვო მოთხოვნების ანარიცხების 2022 და 2021 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

| საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვი | 2022            | 2021            |
|----------------------------------------|-----------------|-----------------|
| ნაშთი წლის დასაწყისში                  | (73,577)        | (60,104)        |
| რეზერვის ცვლილება წლის განმავლობაში    | (2,597)         | (13,473)        |
| <b>ნაშთი წლის ბოლოს</b>                | <b>(76,174)</b> | <b>(73,577)</b> |

## 8. მარაგები

კომპანიის მარაგები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                                               | 31 დეკემბერი, 2022 | 31 დეკემბერი, 2021 |
|-----------------------------------------------|--------------------|--------------------|
| მარაგები მატერიალურად პასუხისმგებელი პირებთან | 475,242            | 363,050            |
| მარაგები საწყობში                             | 200,293            | 236,505            |
| <b>სულ მარაგები:</b>                          | <b>675,535</b>     | <b>599,555</b>     |

## 9. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                                        | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|----------------------------------------|-------------------|-------------------|
| ეროვნული ვალუტა მიმდინარე ანგარიშზე    | 81,591            | 53,691            |
| უცხოური ვალუტა მიმდინარე ანგარიშზე     | 276               | 815               |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>81,867</b>     | <b>54,506</b>     |

## 10. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისათვის შეადგენს 100 ლარს.

### 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ძირითადად შედგება კომპანიის მომწოდებლებისთვის გადასახდელი თანხებისგან. კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                                        | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|----------------------------------------|-------------------|-------------------|
| ვალდებულება თანამშრომლების მიმართ      | 535,792           | 353,555           |
| სავაჭრო ვალდებულებები                  | 207,704           | 278,600           |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება</b> | <b>743,496</b>    | <b>632,155</b>    |

### 12. საგადასახადო ვალდებულება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 339,549 ლარს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ვალდებულება შეადგენდა 414,961 ლარს.

### 13. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                           | 2022              | 2021              |
|---------------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი მომსახურებიდან | 22,601,031        | 20,444,480        |
| საკონტრაქტო შემოსავალი    | 191,869           | -                 |
| <b>სულ შემოსავალი</b>     | <b>22,792,900</b> | <b>20,444,480</b> |

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

|                                                      | კონტრაქტი 1    | კონტრაქტი 2   | ჯამი           |
|------------------------------------------------------|----------------|---------------|----------------|
| მთლიანი საკონტრაქტო შემოსავალი                       | 107,363        | 84,506        | 191,869        |
| შემცირებული: წინა პერიოდის შემოსავლით                | -              | -             | -              |
| <b>სულ მიმდინარე პერიოდის საკონტრაქტო შემოსავალი</b> | <b>107,363</b> | <b>84,506</b> | <b>191,869</b> |
| მთლიანი საკონტრაქტო ხარჯი                            | 94,760         | 60,331        | 155,091        |
| შემცირებული: წინა პერიოდის ხარჯით                    | -              | -             | -              |
| <b>სულ მიმდინარე პერიოდის საკონტრაქტო ხარჯები</b>    | <b>94,760</b>  | <b>60,331</b> | <b>155,091</b> |

#### 14. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                                                          | 2022              | 2021              |
|----------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ხელფასები                                                | 13,882,216        | 11,655,086        |
| საწვავი                                                  | 2,449,171         | 1,846,488         |
| იჯარის ხარჯი                                             | 1,484,781         | 1,339,196         |
| ნედლეული და მასალები                                     | 540,315           | 285,606           |
| მივლინების ხარჯი                                         | 344,726           | 140,922           |
| ცვთვის ხარჯი                                             | 226,964           | 243,504           |
| რემონტი                                                  | 212,194           | 118,348           |
| სხვა პირდაპირი ხარჯები                                   | 195,421           | 214,040           |
| <b>სულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები</b> | <b>19,335,788</b> | <b>15,843,190</b> |

#### 15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                                              | 2022             | 2021             |
|----------------------------------------------|------------------|------------------|
| ხელფასები და დანამატები                      | 1,759,815        | 2,617,029        |
| იჯარა                                        | 806,220          | 820,356          |
| კომუნიკაციის ხარჯები                         | 157,888          | 133,832          |
| თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები               | 71,533           | 68,048           |
| მივლინების ხარჯები                           | 59,369           | 83,363           |
| IT მომსახურების ხარჯები                      | 56,093           | 56,093           |
| ცვთა და ამორტიზაცია                          | 53,455           | 77,542           |
| აუდიტის ხარჯი                                | 48,230           | 29,175           |
| საწვავის ხარჯები                             | 46,269           | 26,653           |
| რემონტის ხარჯები                             | 34,120           | 37,046           |
| საკანცელარიო ხარჯები                         | 31,481           | 20,222           |
| თანამშრომელთა დაზღვევა                       | 18,523           | 21,185           |
| GPS მომსახურების ხარჯები                     | 8,217            | 11,098           |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                      | 68,929           | 66,196           |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>3,220,142</b> | <b>4,067,838</b> |

## 16. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შეადგენს ნულ ლარის შესაბამისად.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არა-რეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახადელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით იმ ოპერაციების დაბეგრვას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად. ასეთი ოპერაციების დაბეგრვა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

## 17. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

**საგადასახადო კანონმდებლობა:** საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

## 18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკ ხელმძღვანელობის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

**ფინანსური რისკი მოიცავს:**

- საკრედიტო რისკს; ასევე
- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკებს), და
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს.

## 18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

|                                     | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|-------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები          | 8        | 6,418,028         | 6,390,331         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები         | 9        | 81,867            | 54,506            |
| <b>სულ საკრედიტო რისკის საფრთხე</b> |          | <b>6,499,895</b>  | <b>6,444,837</b>  |

### საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუძლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

კომპანიას შემოსავალი აქვს ეროვნულ ვალუტაში და არ ფლობს მატერიალურ ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად კომპანიის სავალუტო რისკი არის არამატერიალური.

### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არა-დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა-დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერისა მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

#### 18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

| 31 დეკემბერი 2022                  | < 1 წელი           | 1-დან 5 წლამდე        | სულ              |
|------------------------------------|--------------------|-----------------------|------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                    |                       |                  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 6,418,028          | -                     | 6,418,028        |
| ფული და ფულის ეკვივალენტები        | 81,867             | -                     | 81,867           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>6,499,895</b>   | <b>-</b>              | <b>6,499,895</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                    |                       |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულება        | (743,496)          | -                     | (743,496)        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>(743,496)</b>   | <b>-</b>              | <b>(743,496)</b> |
| <b>ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია</b> | <b>5,771,967</b>   | <b>-</b>              | <b>5,771,967</b> |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>           | <b>&lt; 1 წელი</b> | <b>1-დან 5 წლამდე</b> | <b>სულ</b>       |
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                    |                       |                  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 6,390,331          | -                     | 6,390,331        |
| ფული და ფულის ეკვივალენტები        | 54,506             | -                     | 54,506           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>6,444,837</b>   | <b>-</b>              | <b>6,444,837</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                    |                       |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულება        | (632,155)          | -                     | (632,155)        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>(632,155)</b>   | <b>-</b>              | <b>(632,155)</b> |
| <b>ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია</b> | <b>5,812,682</b>   | <b>-</b>              | <b>5,812,682</b> |

#### კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

#### 19. ფინანსური ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ასს 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.
- დასაქმების შემდგომი შედგავთების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება

| უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება | 2022    | 2021      |
|--------------------------------------|---------|-----------|
| ხელფასები და სხვა სარგებელი          | 963,293 | 1,329,987 |

## 20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 28 ივლისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.



*2022 წლის წლიური ანგარიში*

გენერალური  
დირექტორი:  
ლ.ურუმბე

ფინანსური  
დირექტორი:  
ნ.ივანიძე



2022 წლის წლიური ანგარიში

გენერალური  
დირექტორი:  
ლ.ურუმაძე

ფინანსური  
დირექტორი:  
ნ.ივანიძე

## მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის მე-4 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სერვის ნეტ გრუპი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობით ანგარიშთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობითი ანგარიში მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 28 ივლისს.

გენერალური დირექტორი: ლევან ურუშაძე

---

ფინანსური დირექტორი: ნინო ივანიძე

---

### მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის მე-4 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სერვის ნეტ გრუპი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობით ანგარიშთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობითი ანგარიში მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 28 ივლისს.

გენერალური დირექტორი: ლევან ურუშაძე

ფინანსური დირექტორი: ნინო ივანიძე



**შინაარსი**

**30**

სუბიექტის კომერციული-საბაზრო მდგომარეობა და განვითარების გეგმები

**32**

სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

**34**

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

**34**

სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული და საოპერაციო რისკების მიმოხილვა და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

**37**

სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

**39**

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ




### სუბიექტის კომერციული-საბაზრო მდგომარეობა და განვითარების გეგმები\*

შპს „სერვის ნეტ გრუპი“-ს ძირითად საქმიანობას შეადგენს გამანაწილებელი ობიექტების მშენებლობა ტელეკომუნიკაციებით უზრუნველსაყოფად (მაგისტრალური და საქალაქო საკომუნიკაციო ხაზები) და თანმდევი სამუშაოები, კერძოდ:

- სააბონენტო და საკაბელო სატელეკომუნიკაციო ქსელის მომსახურება და აღდგენა;
- აბონენტების ქსელში ჩართვა და შემდგომი მომსახურება;

კომპანია დარეგისტრირდა საქართველოში 2013 წლის 21 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია შ. ნუგუბიდის ქ. N14, თბილისი, საქართველო. შ.პ.ს „სერვის ნეტ გრუპი“ საქართველოს მასშტაბით ოპერირებს თბილისსა და რეგიონებში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციაში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენდა 1007 თანამშრომელს.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია მალტაში რეგისტრირებული კომპანია „იუპიტერ ფინანს (მალტა) ლიმიტედ“.



კომპანიის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს კომპანიის დირექტორატი. დირექტორებს აქვთ დელეგირება, ჩამოაყალიბონ კორპორატიული მენეჯმენტი და ზედამხედველობის პოლიტიკა, მიიღონ გადაწყვეტილებები ძირითად საკითხებთან დაკავშირებით.

მათი მოვალეობაა, იმოქმედონ კომპანიის ინტერესების დაცვის საუკეთესო გზით, გამოიჩინონ ლოიალურობა კომპანიისა და მისი მფლობელების მიმართ, მიიღონ მონაწილეობა დირექტორთა რეგულარულ შეხვედრებში, სადაც განიხილავენ და წყვეტენ:

- კომპანიის სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს;
- რისკების მართვის მექანიზმებს;
- კომპანიაში არსებულ პრობლემებსა თუ გამოწვევებს;
- კომპანიის აქტივობებსა და გარიგებებს;
- შიდა ნორმატიულ დოკუმენტებს;
- კაპიტალიზაციის განხორციელების მიზანშეწონილობას და სხვ.

ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებსაც გავლენა ჰქონდა კომპანიის საქმიანობაზე საანგარიშო წელს, შემდეგია:

- ხარჯების ეფექტურად მართვის მიზნით, გაგრძელდა მუშაობა და განხორციელდა კონკრეტულ სეგმენტში ფიქსირებული ხარჯების ცვლადი ხარჯებით ჩანაცვლება.
- სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავს კომპანიის ფინანსურ-ეკონომიკურ პოლიტიკას;

*\* შენიშვნა - მოცემულ პარაგრაფში გაშლილი ინფორმაცია აღებულია კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის ანგარიშიდან*

***სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა\****

კომპანიის განვითარება პირდაპირ ბმაშია ელექტრონული კომუნიკაციების დარგის განვითარების ტენდენციებთან. აღნიშნული ტენდენციების სწორად გასაანალიზებლად, კომპანია მუდმივად აკვირდება საერთაშორისო ტრენდებს და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ ანგარიშგებებს და ბაზარზე მისი მდგომარეობის გაანალიზებისა თუ სტრატეგიული განვითარების დაგეგმვისთვის, იყენებს ამ ინფორმაციას.

ჩვენი ძირითადი საქმიანობის ერთ-ერთი მდგენელია ფიქსირებული სატელეფონო ქსელის მომსახურება. 2022 წლის ბოლოს, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 314 ათასი აბონენტი. 2021 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 9%-ით, 32 ათასი აბონენტით შემცირდა, სავარაუდოა, რომ ეს ტენდენცია შენარჩუნდება რის საფუძველსაც იძლევა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ ანგარიშებში ასახული ინფორმაცია. ფიქსირებული ტელეფონის აბონენტების, შესაბამისად შემოსავლებისა და ტრაფიკის შემცირება, მსოფლიოში არსებული ტენდენციაა, რაც უმთავრესად მობილური მომსახურებების განვითარების, ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და OTT (Over-The-Top) სერვისების მოხმარების ზრდის შედეგია. მოსალოდნელია, რომ მსგავსი კლების ტენდენცია გაგრძელდება და უარყოფით გავლენას იქონიებს ჩვენი კომპანიის მიერ ფიქსირებული სატელეფონო ქსელის მომსახურების სერვისების მიწოდებასთან მიმართებაში.

მიუხედავად უარყოფითი ტენდენციისა ფიქსირებული სატელეფონო ქსელის მომსახურების ნაწილში, დარგის სხვა მიმართულებებში, მათ შორის, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მიმართულებით, მკვეთრად გამოხატული ზრდის ტენდენციაა. მკაფიოდ გამოხატულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიების განვითარების ტენდენცია, კერძოდ ქვეყანაში ხელმისაწვდომ სხვა ფართოზოლოვან ტექნოლოგიებს შორის ყველაზე დიდი 80%-იანი წილი ოპტიკურ ტექნოლოგიას უკავია. აღსანიშნავია რომ საქართველოს 5 დიდ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთი) ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიი აბონენტების წილი ქალაქის ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მთლიან რაოდენობაში 97%-ია. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მომხმარებელი აბონენტების უდიდესი ნაწილი - 48 % თბილისშია.

*\* შენიშვნა - მოცემულ პარაგრაფში გაშლილი ინფორმაცია აღებულია კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის ანგარიშიდან*

საქართველოს ხუთ დიდ ქალაქზე ჯამში (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში) აღნიშნული ტექნოლოგიის მომხმარებელთა 67 % მოდის, დანარჩენ ქალაქებზე, დაბებსა და სოფლებზე კი - 33%. აღნიშნული განაწილების ძირითადი მიზეზი რეგიონებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შეზღუდული ხელმისაწვდომობაა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დედაქალაქსა და რამდენიმე დიდქალაქში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება თითქმის გაჯერებულია, ზრდის ტემპი სოფლებში უფრო დიდია. 2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობით ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობამ 1,08 მლნ. წინა წელთან შედარებით აბონენტების რაოდენობა 7%-ით გაიზარდა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ ანგარიშების შესაბამისად ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აბონენტების რაოდენობის წლიური ზრდის ტემპმა, როგორც ფიზიკური პირი ასევე იურიდიული პირი აბონენტებისათვის 6% შეადგინა.

როგორც ზემოთ ავლენებთ, თბილისში ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარი თითქმის გაჯერებულია, შესაბამისად, ჩვენი კომპანიის ყურადღება მიმართულია რეგიონალურ ქალაქებსა და სოფლებზე, განსაკუთრებით იქ, სადაც ვითარდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი და სადაც ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების რაოდენობა სტაბილურად იზრდება.

კომუნიკაციების კომისიის მიერ წარმოდგენილი ციფრები დაბიზნესის ტენდენციები ცხადყოფს, რომ გაგრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტები რეგიონებში, შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ინფრასტრუქტურის მშენებლობა თუ მომსახურების მოცულობა ამ მიმართულებით იქნება მზარდი, დააბალანსებს იმ უარყოფით გავლენას, რაც ექნება ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების შემცირებას და საბოლოო ჯამში, პოზიტიურ გავლენას იქონიებს ჩვენს კომპანიაზე.

2018 წლიდან ჩვენი კომპანიის პორტფოლიოს მნიშვნელოვანი ნაწილია მობილურ ოპერატორების სერვისი. ბოლო წლების განმავლობაში, სწრაფი ტემპით იზრდება მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა. ბოლო ხუთ წელიწადში დაფიქსირებულია რეკორდულად მაღალი აბონენტების ზრდის მაჩვენებელი, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობაში. მობილური ინტერნეტის მოხმარება და ტრაფიკი სწრაფი ტემპით იზრდება, რაც განპირობებულია მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდით, კერძოდ მოსახლეობის უნარ-ჩვევები თანამედროვე ტექნოლოგიების მოხმარებაში გაუმჯობესებულია და უკვე თითქმის ყველა თაობა აქტიურად იყენებს მობილურ ინტერნეტს. 4G ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად, იკლებს 2G და 3G ტექნოლოგიებით მოხმარებული ინტერნეტ ტრაფიკის მოცულობა. 2022 წელს მთლიანი მობილური ინტერნეტ ტრაფიკის 94% უკვე 4G ტექნოლოგიაზე მოდის.

**ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ**

კომპანიაში კოორდინირებულად მოქმედებს საქართველოს მასშტაბით თბილისსა და რეგიონებში.

რეგიონში არსებულ გამოწვევებს უმკლავდებიან ფილიალები, ადგილზე დასაქმებული თანამშრომლების დახმარებით. საოპერაციო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობს მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ხდება თანამშრომლების გადაადგილება რეგიონებს შორის.

ფილიალებს შორის კომუნიკაცია მყარდება ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო კავშირისა და საჭიროების შემთხვევაში ადგილზე ორგანიზებული შეხვედრების საშუალებით.

**სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული და საოპერაციო რისკების მიმოხილვა და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ**

საერთოდარგობრივი ტენდენციების ფონზე, კომპანია მის მდგომარეობას აფასებს, როგორც ოპტიმისტურს, თუმცა არსებობს გარკვეული ზოგადი ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიონ. ესენია:

- მორიგი ეკონომიკური კრიზისი ქვეყანაში;
- პოლიტიკური სტაბილურობის დარღვევა;
- დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების ცვლილებები;
- სწრაფი ტექნოლოგიური განვითარება;
- ინფლაცია;
- ომი მეზობელ სახელმწიფოებში.

ისეთი ახალი ტექნოლოგიების გამოჩენამ, როგორიცაა 5G და რომლის დანერგვასაც საქართველო წამყვან ევროპულ ქვეყნებთან ერთად გეგმავს, თეორიულად შესაძლებელია, ჩაანაცვლოს საკაბელო ინტერნეტი, თუმცა რეალურად მსგავსი ჩანაცვლების შანსი მიზერულია, ვინაიდან: ა) საქართველოში მობილურ და საკაბელო ინტერნეტს ფლობენ ერთი და იგივე ოპერატორები; ბ) საკაბელო ინტერნეტის მოგების კოეფიციენტი მაღალია; გ) ჩადებული ინვესტიციების მასშტაბი უზარმაზარია; დ) გაურკვეველია, რეალობაში რამდენად კონკურენტული აღმოჩნდება 5G საკაბელო ინტერნეტთან მიმართებაში;

2022 წელს მკვეთრად გამოხატული ფაქტორები იყო საწვავის ფასის ზრდა და ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია ძირითად საქმიანობას აწარმოებს ეროვნულ ვალუტაში, ასევე ძალიან მცირეა ისეთი შესყიდვები, სადაც მოსალოდნელია, რომ ვალუტის კურსის ცვლილებამ აიძულოს მომწოდებელი, გაზარდოს ფასი, აღნიშნულ ფაქტორებს კრიტიკული გავლენა ბიზნესზე არ ჰქონია.

კომპანიას მიაჩნია, რომ ეროვნული ბანკის ლარიზაციის პროგრამა დაასტაბილურებს ეროვნულ ვალუტას გრძელვადიან პერსპექტივაში და აღნიშნული ფაქტორები მკვეთრ უარყოფით გავლენას არ იქონიებს ბიზნესზე გრძელვადიან პერსპექტივაში.

გარდა დარგობრივი რისკებისა, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ არსებულ ბაზარზე და შესაბამისად, კომპანიის საქმიანობაზე, მენეჯმენტის ხედვით, არსებობს გარკვეული ბიზნესრისკები, რომელთა მართვა და გადაწყვეტა აუცილებელია წარმატებული ბიზნესსაქმიანობის გასაგრძელებლად. ეს რისკებია:

**მყიდველის გავლენა:** კომპანიას ჰყავს ერთი ძირითადი კონტრაქტორი, მისი ძირითადი საქმიანობა მიმართულია ამავე კონტრაქტორის სპეციფიკურ ტექნიკურ მომსახურებაზე, რაც ნიშნავს, რომ ძირითად დამკვეთს შეუძლია, იქონიოს გავლენა ბიზნესზე, კერძოდ, მიწოდებული სერვისის ხარისხსა თუ ფასებზე, რაც თავის მხრივ, აისახება კომპანიის მომგებიანობაზე. დღევანდელი მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სატელეკომუნიკაციო სერვისის მიწოდება, თუმცა აღსანიშნავია, რომ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე არსებული ოლიგოპოლია არ აძლევს კომპანიას დამკვეთთა დივერსიფიკაციის შესაძლებლობას, გარდა ამისა, კომპანია მიიჩნევს, რომ მისი გავლენა დამკვეთზე ასევე ძლიერია, ვინაიდან დაგროვილი აქვს მრავალწლიანი გამოცდილება, იცნობს დამკვეთის ინფრასტრუქტურას და ნაკისრი აქვს მისი მოვლის ვალდებულება წლების განმავლობაში. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომპანია მიიჩნევს, რომ დამკვეთისთვის ისევე რთული იქნება სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გასვლა, როგორც შპს „სერვისნეტ გრუპისთვის“.

**პროდუქტების დივერსიფიკაცია:** პროდუქტი, რომელსაც კომპანია აწვდის მის ძირითად კონტრაქტორს, მორგებულია ამავე კონტრაქტორის სპეციფიკურ ტექნიკურ მომსახურებაზე. მიგვაჩნია, რომ არადივერსიფიცირებული პროდუქტი (მომსახურება) რისკ-ფაქტორია კომპანიისთვის. თუმცა კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმები მოიცავს პორტფოლიოს დივერსიფიკაციას წყალმომარაგების, სანიაღვრე სისტემებისა და სხვა მსგავსი ინფრასტრუქტურის მშენებლობის დარგში.

**ფინანსური რისკები:** მიგვაჩნია, რომ დღეის მდგომარეობით კომპანიას არ უდგას ლიკვიდურობის რისკი, რაც ნათლად ჩანს „კომპანიის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები: ლიკვიდურობის კოეფიციენტები“ - ში. თუმცა ინფლაცია და სავალუტო კურსი, ასევე საპროცენტო განაკვეთების ცვლილება შესაძლებელია გარკვეული რისკის მატარებლად მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ სრულად დაფარა 2020 წლის ბოლოსთვის სასესხო ვალდებულება, ხოლო ძირითადი მომწოდებლები წარმოადგენენ ადგილობრივ კომპანიებს, რომლებიც თავად აწარმოებენ სამშენებლო მასალებს, ზემოთ მოხსენიებულმა ფაქტორებმა ნეგატიური გავლენა შეიძლება იქონიონ ჩვენს დაკმევებზე, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს ჩვენს საქმიანობაზეც.

**სამართლებრივი რისკები:** სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, ასევე სახელმწიფო რეგულაციების / კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად, თუმცა დღეისათვის რაიმე სახის სამართლებრივი რისკი კომპანიას არ უდგას როგორც საგადასახადო, ასევე სხვა სამართლებრივ სფეროებში.

**საკრედიტო რისკი:** კომპანიას შეიძლება შეექმნას საკრედიტო რისკი იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტი ვერ შეძლებს აუცილებელი თანხების დადგენილ ვადაში ანაზღაურებას. კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გავლენა 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის. კომპანიის მოთხოვნების უდიდეს ნაწილს შეადგენს ერთი კომპანიის მიმართ წარმოქმნილი მოთხოვნა. აღნიშნულ კომპანიას აქვს კარგი საკრედიტო ისტორია. გარდა ამისა ფული საბანკო ანგარიშზე განთავსებულია საქართველოში არსებულ აქტივების მიხედვით ორ უდიდეს ბანკში.

**კონკურენცია:** მიმდინარე მდგომარეობით, კომპანიას არ ჰყავს მკვეთრად გამოხატული კონკურენტი ძირითადი საქმიანობის მიმართულებით, თუმცა ბაზარზე არსებობს რამოდენიმე კომპანია, რომელნიც ოპერირებენ იმავე დარგში. ჩვენი კომპანიის უპირობო ბენეფიტებია: სრული აღჭურვა მაღალ ხარისხიანი დანადგარებით, მრავალწლიანი გამოცდილების კვალიფიციური კადრები და დამკვეთთათვის მიწოდებული მაღალი ხარისხის სერვისი, რაც გვაძლევს საშუალებას, დავიმკვიდროთ დომინანტი პოზიცია. მივიჩნევთ, რომ კონკურენტებზე მაღალი ხარისხი, კარგი რეპუტაცია, პორტფოლიო და ტექნოლოგიურ სიახლეებზე ორიენტაცია შესაძლებლობას აძლევს კომპანიას, შეინარჩუნოს ბაზარზე ადგილი.

ძირითად რისკებად კომპანია მიიჩნევს მყიდველის გავლენისა და პროდუქტის დივერსიფიკაციის რისკებს. ამ რისკებს ფარავს ის სტრატეგიული გეგმები, რომლებიც განხილულია ქვემოთ.

კომპანიის ძირითადი ამოცანაა უდანაკარგო საქმიანობის უზრუნველყოფა, მოგების და მდგრადი ფულადი ნაკადების მიღება. შესაბამისი შედეგის მისაღწევად და ზემოთ განხილული რისკების დაზღვევის მიზნით, კომპანიას მიაჩნია, რომ აუცილებელია მის მიერ შეთავაზებული პროდუქტისა (მომსახურების) და დამკვეთთა პორტფოლიოს (მომსახურების) დივერსიფიკაცია.

ფიქსირებული ტელეფონის აბონენტების (შესაბამისად, შემოსავლებისა და ტრაფიკის) შემცირება მსოფლიოში არსებული ტენდენციაა, რაც უმთავრესად მობილური კომუნიკაციებით ფიქსირებული ტელეფონის ჩანაცვლების შედეგია. 2018 წლის ოქტომბრიდან, კომპანიამ გააფორმა მნიშვნელოვანი კონტრაქტი მომსახურების გაწევის თაობაზე მობილური ტელეკომუნიკაციების სფეროში და ვითარდება ამ მიმართულებით.

2019 წელს კომპანიამ პირველად განახორციელა ენერგო უზრუნველყოფის სერვისების მიწოდება. მიმდინარე (2023) წლის გამნავლობაში, კომპანია გეგმავს ხარისხისა და კვალიფიკაციის ამაღლებას ამ მიმართულებით, დამკვეთთა მოზიდვის მიზნით.

2016 წლიდან მოყოლებული, კომპანია იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ტენდერებში იმ მიზნით, რომ დააგროვოს შესაბამისი გამოცდილება არა მხოლოდ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და მომსახურების, არამედ წყალმომარაგების, სანიაღვრე სისტემებისა და სხვა მსგავსი ინფრასტრუქტურის მშენებლობის დარგში. კომპანია ასევე განიხილავს შესაძლებლობას, მიმართოს დაგროვილი ცოდნა მსხვილ, მათ შორის სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად. კომპანია გეგმავს შემდგომ განვითარებას ამ მიმართულებით.

***სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ***

2022 წელი აღდირებულია შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338) მიერ. ფინანსური ანგარიშგებების სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

**ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები**

| საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელთა სისტემა | 2022 | 2021 |
|------------------------------------------------------|------|------|
| მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი                    | 0.83 | 0.81 |
| გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი                 | 0.17 | 0.19 |
| საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობა           | 7.29 | 7.35 |
| საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი         | 0.88 | 0.88 |
| საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა            | 0.85 | 0.85 |
| ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი                | 1.14 | 1.14 |
| საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი          | 0.88 | 0.88 |
| მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი         | 0.12 | 0.12 |

ძირითადად კომპანია ოპერირებს საკუთარი კაპიტალით, მოზიდული კაპიტალის დაბალი ხვედრითი წილი და კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის კოეფიციენტი ცხადყოფს, რომ კომპანია ფინანსურად არ არის მოზიდულ კაპიტალზე დამოკიდებული.

საანგარიშო პერიოდში მოგებისა და საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლებზე დაყრდნობით კომპანია თვლის, რომ ბიზნესსაქმიანობის გაგრძელება რისკებთან არაა დაკავშირებული.

მართალია მიმდინარე წელს შემცირებულია საკუთარი სახსრების თანაფარდობა მოზიდულ სახსრებთან, მაგრამ მოზიდული კაპიტალის დაბალი ხვედრითი წილი და კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს საკუთარი კაპიტალის წილს აქტივებში ცხადყოფს, რომ ქონების ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია ანუ შემცირებულია საკუთარი კაპიტალის ხარჯზე. ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი დაბალია, რაც გამოწვეულია ნასესხები სახსრების ოდენობის სიმცირით, შესაბამისად, შემცირებულია გარეშე ინვესტირების დაფინანსების წილი და გაზრდილია კომპანიის მესაკუთრეების ქონება.

| გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები    | 2022 | 2021 |
|-------------------------------------|------|------|
| აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი | 0.08 | 0.05 |
| სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი     | 6.24 | 6.22 |
| საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი     | 6.86 | 6.80 |

კომპანიის გადახდისუნარიანობას მისი ლიკვიდურობის ხარისხი ახასიათებს. წლის ბოლოს, კომპანიის აქტივების ძირითადი ნაწილია სწრაფად ლიკვიდირებადი აქტივები, კერძოდ, დებიტორული მოთხოვნები.

| ეფექტურობის კოეფიციენტები                   | 2022   | 2021   |
|---------------------------------------------|--------|--------|
| დებ. დავალიანების ამოღების პერიოდი          | 103.80 | 115.39 |
| დებ. დავალიანების დაფარვის რიცხვი წელიწადში | 3.52   | 3.16   |
| აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი               | 2.54   | 2.34   |
| მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი               | 28.62  | 26.42  |

კომპანიას მიაჩნია, რომ არ უდგას ლიკვიდურობის ან დებიტორული დავალიანების ამოღების პრობლემა, ვინაიდან მოცემული კოეფიციენტები მისაღებია იმ დარგისთვის, რომელშიც ოპერირებს, ხოლო დებიტორული დავალიანებები არის მიმდინარე და გასტუმრებულია საანგარშო პერიოდის შემდგომ, შესაბამისად, არ დგას საჭიროება დაჩქარდეს დებიტორული დავალიანებების განაღდების პროცესი.

**ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ**

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი ფინანსური რისკების წინაშე. კომპანია ძირითადად ფინანსდება კომპანიის მიერ გამოშვებული წმინდა მოგებით, რომლის წილი კომპანიის საკუთარ კაპიტალთან მიმართებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო დიდი. ქვემოთ იხილეთ ფინანსური კოეფიციენტების მცირე მიმოხილვა:

| ლევერიჯი                            | 2022 | 2021 |
|-------------------------------------|------|------|
| ფინანსური ლევერიჯი                  | 1.09 | 1.08 |
| ვალდებულების თანაფარდობა კაპიტალთან | 0.12 | 0.12 |
| ვალდებულების თანაფარდობა აქტივებთან | 0.12 | 0.12 |
| კრედიტუნარიანობის ინდექსი           | 6.91 | 7.20 |

ფინანსური ლევერიჯის დონე მცირდება, რაც ნიშნავს, რომ მცირდება ნასესხები სახსრების წილი და სესხებით გამოწვეული ფინანსური რისკი. კრედიტუნარიანობის ინდექსი მეტია 2,675-ზე (ინდექსის მინიმალური დონე), შესაბამისად მიგვაჩნია, რომ კომპანიას საფრთხე არ ემუქრება.

კომპანიის კაპიტალის ზრდა განპირობებულია მიმდინარე წლის მოგება-ზარალის ხარჯზე. დივიდენდი არ გაცემულა როგორც 2021 წელს, ასევე 2022-ში.

| კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება | მფლობელთა<br>კაპიტალი | აკუმულირებული<br>მოგება (ზარალი) | სულ<br>კაპიტალი  |
|-----------------------------------|-----------------------|----------------------------------|------------------|
|                                   | GEL                   | GEL                              | GEL              |
| <b>2020 წლის საბოლოო კაპიტალი</b> | <b>100</b>            | <b>7,166,524</b>                 | <b>7,166,624</b> |
| მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)    | -                     | 531,216                          | 531,216          |
| გაცემული დივიდენდი                | -                     | -                                | -                |
| <b>2021 წლის საბოლოო კაპიტალი</b> | <b>100</b>            | <b>7,697,740</b>                 | <b>7,697,840</b> |
| მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)    | -                     | 201,808                          | 201,808          |
| <b>2022 წლის საბოლოო კაპიტალი</b> | <b>100</b>            | <b>7,899,548</b>                 | <b>7,899,648</b> |